საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/419
26/01/2023

419-21-2-202301261743

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7548 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, დოლოჭუპის ბაზილიკის მიმდებარედ, მდინარე დურუჯის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 18 მარტის №2612/01 წერილში მითითებული შენიშვნები, კერძოდ წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- როგორც ზემოაღნიშნული წერილით გეცნობათ, წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (315 მ^2) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ყვარლის სატყეო უბნის ყვარელის სატყეოს კვარტალი N59-ის, ლიტერი N1 და კვარტალი N49-ის, ლიტერი N13, ხოლო სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან, რის თაობაზე ინფორმაციაც ასახული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში, მათ შორის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის ანგარიშის სხვადასხვა ქვეთავებში მითითებულია, რომ ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე, „იხტიოფაუნის“ თავში აღნიშნულია, რომ „ღვარცოფულ მდინარეებში რომელიც უჟანგბადოა, თევზების მრავალფეროვნება არის ძალიან დაბალი. სულ რაღაც 2-3 სახეობაზე შეგროვდა ზეპირსიტყვიერი მონაცემები. ამ სახეობებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ამიტომ დამატებითი ღონისძიებების გატარება თევზების შემთხვევაში საჭირო არაა”. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის იხტიოფაუნაზე ზემოქმედების არარსებობის

შესახებ, სკრინინგის განცხადებაში მოცემული ჩანაწერი საჭიროებს დასაბუთებას და შესაბამისი არგუმენტებით გამყარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო